

ცხვრისა და ცხვრის პროდუქტების კოტენსიული ევროკავშირის და სპარსეთის ყურის ქვეყნებში



აღნიშნული კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ლისბეტ რაუსინგისა და პიტერ ბოლდვინის საქველმოქმედო ფონდი არკადიას მხარდაჭერით.



აკრონიმები

- ✓ EU: ევროკავშირი
- ✓ GCC: სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნები (ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი, ყატარი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები)
- ✓ NFA: სურსათის ეროვნული სააგენტო
- ✓ BSO: ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები
- ✓ HS Code: სასაქონლო (საბაჟო) კოდი
- ✓ MEPA: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ MOESD: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ EDA: ექსპორტის განვითარების ასოციაცია
- ✓ GFA: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

სარჩევი

აკრონიმები	2	დამატებითი დოკუმენტაცია	23
შესავალი და მეთოდოლოგია	4	ბაზრის ტენდენციები.....	24
ადგილობრივი ბაზრის მიმოხილვა.....	5	ცხვრისა და ცხვრის პროდუქტების პოტენციალი სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებში.....	27
წარმოების მოცულობა და სარეალიზაციო არხები.....	6	საკვების უვნებლობის მოთხოვნები	28
კანონმდებლობა	13	საკვები პროდუქტების ეტიკეტირება	28
ცხვრის და ცხვრის პროდუქტების პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე	15	კანონმდებლობა	29
სურსათის უვნებლობის მოთხოვნები	16	იმპორტის ტარიფები	30
საკვების შეფუთვა.....	17	სტანდარტები და სერტიფიცირება	31
სურსათის ეტიკეტირება	18	წარმოშობის წესები	32
კანონმდებლობა	19	წარმოშობის სერტიფიკატი.....	32
სტანდარტები და სერტიფიცირება	21	სატრანსპორტო დოკუმენტაცია	32
წარმოშობის წესები	22	ჰიგიენური სერტიფიკატი	33
წარმოშობის სერტიფიკატი.....	22	კომერციული ინვოისი და ხელშეკრულება..	33
სატრანსპორტო დოკუმენტაცია	23	შეფუთვის სია	33
ჰიგიენური სერტიფიკატი	23	ჰალალის სერტიფიკატი	33
კომერციული ინვოისი და ხელშეკრულება	23	დამატებითი დოკუმენტაცია.....	33
შეფუთვის სია	23	ბაზრის ტენდენციები	34
		სასარგებლო ბმულები	37

შესავალი

და

პეოლოლოგია

ანგარიშიში წარმოდგენილია ინფორმაცია შემდეგ პროდუქციაზე: რძე და რძის ნაწარმი, ცხვრის ხორცი და ხორც-პროდუქტები, ცოცხალი ცხვარი და ცხვრის მატყლი. კვლევა მოიცავს ინფორმაციას სარეალიზაციო არხების, ტექნიკური რეგულაციებისა და სტანდარტების შესახებ ადგილობრივ ბაზარზე (საქართველოში), ევროკავშირისა და GCC-ის (სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო) ქვეყნებში. ანგარიშის მიზანია ევროკავშირისა და GCC-ის ქვეყნებში ქართული პროდუქციის (ცოცხალი ცხვარი, ცხვრის რძე და რძის პროდუქტები, ცხვრის ხორცი და ცხვრის მატყლი) პოტენციალის დადგენა. თითოეული ზემოხსენებული სამიზნე პროდუქტი ინდივიდუალურად იქნა შესწავლილი, სადაც ამის შესაძლებლობა იყო. იმ შემთხვევაში, სადაც მოძიებული მონაცემები არ იყო საკმარისი, პროდუქციის დაჯგუფება ხდებოდა შესაბამის წყაროებში მოცემული

კატეგორიების მიხედვით (მაგალითად, ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემებში რძე და რძის პროდუქტები გაერთიანებულია და არ არის დაყოფილი როგორც ცხვრის, ძროხის და ა.შ.). სავაჭრო სტატისტიკის ანალიზის მიზნით, სამიზნე პროდუქტების დაჯგუფება მოხდა საერთაშორისოდ აღიარებული ექვსი, ოთხი ან ორნიშნა HS (ჰარმონიზებული სისტემის) კოდების მიხედვით. კვლევა ჩატარდა პირველადი და მეორადი წყაროების მონაცემების გამოყენებით. გაანალიზდა ყველა არსებული კვლევა ქართული ცხვრის პროდუქტებთან დაკავშირებით და ჩატარდა ინტერვიუები სექტორში ჩართულ მხარეებთან, როგორცაა ცხვრის პროდუქტების მწარმოებლები, სამთავრობო ინსტიტუტები, ასოციაციები და სხვა ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები.



ადგილობრივი
ბაზრის
მიმოსილვა

წარმოების მოცულობა და სარეაქტივო არხები

ცხრილი 1


ცხვრის რაოდენობა (2015-2019) (000)					
	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო (სულ)	841.6	875.9	855.9	819.1	841.9
იმერეთი	28.4	27.4	19.6	15.7	14.7
კახეთი	474.4	482.0	499.8	496.8	497.3
მცხეთა-მთიანეთი	53.3	61.7	45.4	58.2	50.8
სამცხე-ჯავახეთი	69.0	71.8	70.7	56.0	63.5
ქვემო ქართლი	185.2	203.7	193.4	167.3	188.2
შიდა ქართლი	23.6	22.0	20.7	18.7	21.4
სხვა რეგიონები	7.7	7.4	6.2	6.5	5.9

წყარო: [Geostat](#)

პირველ ცხრილში წარმოდგენილია ცხვრის პოპულაცია რეგიონების მიხედვით 2015-დან 2019 წლის ჩათვლით. ცხრილიდან ჩანს, რომ აღნიშნული წლების განმავლობაში ცხვრის პოპულაციის საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. სტატისტიკური მონაცემებით ცხვრის პოპულაციის თვალსაზრისით წამყვანი რეგიონებია კახეთი და ქვემო ქართლი. ცხვრის უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია კახეთის რეგიონში, შემდეგ მოდის ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები.

რაც შეეხება ცოცხალი ცხვრის იმპორტს, დიაგრამა 1 გვიჩვენებს, რომ ცოცხალი ცხვრის იმპორტი 2015-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმპორტირებული ცხვრის უმეტესი ნაწილი მოდის რუმინეთსა და რუსეთის ფედერაციაზე. აღნიშნული ქვეყნებიდან 1644 ტონა ცხვრის იმპორტი განხორციელდა, რაც 2019 წელს ცხვრის მთლიანი იმპორტის 96% -ია.


დიაგრამა 1. ცოცხალი ცხვრის იმპორტი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 2019 წელს



წყარო: Intracen Trademap

როგორც უკვე აღინიშნა, ცოცხალი ცხვრის იმპორტი დაახლოებით 1000-დან 1710 ტონამდე გაიზარდა 2015-2019 წლებში. 2018 წელს დაფიქსირდა ცოცხალი ცხვრის იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, დაახლოებით 5000 ტონამდე, რომლის ღირებულებაც 7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი ინფორმაციით, რუმინეთიდან და რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული ცხვრის უმეტესი ნაწილი განკუთვნილი იყო სასაკლაოებში შემდგომი დამუშავებისთვის.


დიაგრამა 2. ცოცხალი ცხვრის იმპორტი (2015-2019)



წყარო: Intracen Trademap


რაც შეეხება ცოცხალი ცხვრის ექსპორტს, დაახლოებით 14 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვარი გავიდა ექსპორტზე 2019 წელს. ცხვრის უმეტესი ნაწილი ექსპორტირებულია აზერბაიჯანში, შემდეგ მოდის საუდის არაბეთი და ქუვეითი. მცირე რაოდენობით ცხვარი გადის ყატარში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში და ბაჰრეინში. 2018 წელს ცოცხალი ცხვრის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს უცხოეთის ქვეყნებში ქართული ცხვრის ხორცზე მოთხოვნის გაზრდით 2018 წელს.

დიაგრამა 3. ცოცხალი ცხვრის ექსპორტი (2015-2019)



წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 4. ცოცხალი ცხვრის ექსპორტი 2019 წელს, პარტნიორი ქვეყნების მიხედვით




ცხვრის და თხის ხორცის წარმოება რეგიონების მიხედვით (000 ტონა)					
	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო	4.8	4.6	6.7	9.1	5.9
კახეთი	2.6	2.6	3.4	4.3	2.8
მცხეთა - მთიანეთი	0.1	0.2	0.3	0.5	0.3
სამცხე-ჯავახეთი	0.5	0.5	0.7	0.9	0.6
ქვემო ქართლი	1.1	0.7	1.5	2.6	1.7
სხვა რეგიონები	0.6	0.7	0.8	0.7	0.5

წყარო: Geostat

ხორცის წარმოების მხრივ წამყვან პოზიციებზეა ფრინველისა და პირუტყვის ხორცი, რომელიც 2019 წელს საქართველოში ხორცის მთლიანი წარმოების 65%-ს (70,000 ტონა) წარმოადგენდა. ცხვრისა და თხის ხორცის წილი მხოლოდ 5%-ია, საერთო ჯამში - 5,900 ტონა 2019 წელს. კახეთი და ქვემო ქართლი 4500 ტონით ლიდერობენ რეგიონებში ხორცის წარმოების მხრივ, რაც წარმოადგენს ცხვრისა და თხის ხორცის წარმოების ნახევარზე მეტს საქართველოში.

დიაგრამა 5. ცხვრის ხორცის იმპორტი საქართველოში 2015-2019 (აშშ დოლარი 000) წლებში



წყარო: Intracen Trademap

მე-5 დიაგრამაზე წარმოდგენილია ცხვრის ხორცის იმპორტი 2015 წლიდან 2020 წლამდე. აშკარაა, რომ ბატკნის კარკასის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2019 წელს

მაშინ, როდესაც ბატკნის კარკასის იმპორტი პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა წინა წლებში. 2019 წელს დაფიქსირდა 82,000 აშშ დოლარის ღირებულების ცხვრის ხორცის იმპორტი, მათ შორის ცხვრის ხორცის გაყინული ნაჭრები, ცხვრის ან ბატკნის ნედლი, ან გაცივებული ხორცი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2019 წელს პირუტყვისა და ფრინველის აქტიური სასაკლაოების რაოდენობა იყო 106, რომლებიც უმეტესწილად კონცენტრირებული იყო კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. 2019 წელს სასაკლაოების მიერ წარმოებული ხორცის ოდენობამ შეადგინა 40 329.1 ტონა, რომლის 40% იყო საქონლის ხორცი, 40 329.1% - ფრინველის ხორცი, 16.8% - ღორის ხორცი, **3.9% - ცხვრის და თხის ხორცი** და სხვა სახეობის ხორცის უმნიშვნელო წილი.


მომსახურება გაეწია 40.3 ათარ პირს, რომელთა 38.6 პროცენტი შინამეურნეობას წარმოადგენდა. სასაკლაოებზე საშუალოდ 957 პირი იყო ყოველთვიურად დასაქმებული. მომსახურების ღირებულება ერთეულ საქონელზე იყო შემდეგი: პირუტყვის დაკვლა - 24,9 ლარი, **ცხვარი ან თხა** - 11,4 ლარი, ხოლო ღორი - 22,4 ლარი.

ინდიკატორის დასახელება	სულ	საიდანაც				
		პირუტყვი	ცხვარი და თხა	ღორი	ფრინველი	სხვა
დაკლული პირუტყვის და ფრინველის მთლიანი რაოდენობა (სული)	11,523,403	166,625	118,128	118,472	11,084,848	35,330
წარმოებული ხორცი, სულ (საკლავის წონა, კგ)	40,329,080	16,276,884	1,566,358	6,778,091	15,634,322	73,425
სასაკლავოს მიერ შესყიდული, შემდგომი რეალიზაციის მიზნით (კგ)	2,697,249	888,730	173,427	1,533,992	101,100	...
მომსახურების საშუალო ღირებულება (ლარი/ერთეულზე)	21.5	24.9	11.4	22.4


წყარო: Geostat

ცხვრის ხორცის უმეტესი წილი ექსპორტზე გადის ირანში, რომელსაც მოყვება არაბთა გაერთიანებული საამიროები და ქუვეითი. უმნიშვნელო ოდენობით ექსპორტი ხდება ასევე ბაჰრეინში, აზერბაიჯანში, ომანსა და ერაყში. როგორც უკვე აღინიშნა, 2018 წელს შეინიშნებოდა ცოცხალი ცხვრის ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც აიხსნება იმავე პერიოდში ხორცის წარმოებისა და ექსპორტის გაზრდით. აქვე უნდა ითქვას, რომ 2018 წელს უცხო ქვეყნებიდან დიდი რაოდენობით ცოცხალი ცხვარი იქნა შემოყვანილი შემდგომი დამუშავების მიზნით.

დიაგრამა 6. ცხვრის ხორცის ექსპორტი 2019 წელს (პროდუქციის მიხედვით)




დიაგრამა 7. ცხვრის ხორცის ექსპორტი (2015-2019)



წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 8. ცხვრის ხორცის ექსპორტი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 2019 წელს



წყარო: Intracen Trademap

2015-2019 წლებში ცხვრის და თხის რძის წარმოებაში ცვლილებები პრაქტიკულად არ მომხდარა. 2019 წელს წარმოებული იქნა 9.8 მილიონი ლიტრი, რაც ემთხვევა 2015 წლის წარმოების მაჩვენებელს. კახეთი და ქვემო

ქართლი წარმოადგენს ცხვრისა და თხის რძის წამყვან მწარმოებელ რეგიონებს 7,6 მლნ ლიტრით 2019 წელს.

ცხრილი 4

ცხვრის და თხის რძის წარმოება რეგიონების მიხედვით (მლნ. ლიტრი)					
	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო	9.8	9.9	10.3	10.0	9.8
კახეთი	5.3	5.2	5.7	5.5	5.3
მცხეთა-მთიანეთი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
სამცხე-ჯავახეთი	0.9	0.8	0.9	0.8	0.8
ქვემო ქართლი	2.3	2.5	2.5	2.3	2.3
სხვა რეგიონები	0.9	0.9	0.8	1.1	1.0


წყარო: Geostat

რძის უმეტესი ნაწილი გამოიყენება შემდგომი გადამუშავებისთვის და ადგილობრივი მოხმარებისთვის. შემდგომი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის თვალსაზრისით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საქმიანობაა ყველის წარმოება. შეინიშნება გარკვეული თვალსაჩინო პროგრესი ყველის ექსპორტის მხრივ უცხო ქვეყნებში, თუმცა მნიშვნელოვანი წინსვლა 2015-2018 წლებში არ გამოვლენილა. რაც შეეხება ყველის ექსპორტს 2019 წელს, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 615,000 აშშ დოლარი 103 ტონის ოდენობით. აშშ წამყვანი პარტნიორია ყველის ექსპორტის კუთხით, 300 000 აშშ დოლარის ღირებულების 50 ტონა ყველის ექსპორტით 2019 წელს. 2019 წელს ქართული ყველის ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენდა ასევე სომხეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა ექსპორტიორებმა შეძლეს გუდის ყველის ექსპორტი აშშ-ში, რომელიც ძირითადად ცხვრის რძისგან იწარმოება. ქართველი მწარმოებების მიერ ყველის ევროპაში ექსპორტი ამ ეტაპზე შეუძ-

ლებელია ევროკავშირის სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გამო, რომელსაც ქართველი მწარმოებლები ვერ აკმაყოფილებენ ამჟამად. DCFTA-ის (ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება) შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულია დაუახლოვოს ქვეყნის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ამჟამად განვითარების პროცესშია. ქართველ მწარმოებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოიპოვონ ყველის ექსპორტის უფლება ევროკავშირის ქვეყნებში, თუ ისინი შეძლებენ დააკმაყოფილონ ევროკავშირის სურსათის უვნებლობის სტანდარტები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საწარმოო პრაქტიკის შემუშავება და სურსათის უვნებლობის სხვადასხვა სტანდარტის დაწერვა ძალიან ძვირია ქართული კომპანიებისთვის და აღნიშნული მიზეზების გამო, ქართული კომპანიების ინტერესი ევროკავშირის ბაზრის მიმართ ძალიან მცირეა.


დიაგრამა 9. ყველის ექსპორტი 2015-2019 წლებში



წყარო: Intracen Trademap

2019 წელს სულ 1800 ტონა მატყლი იქნა წარმოებული, რაც მცირედით ნაკლებია წინა წლის წარმოებასთან შედარებით. მატყლის ნახევარზე მეტი იწარმოება კახეთის რეგიონში, შემდეგ მოდის ქვემო

დიაგრამა 10. ყველის ექსპორტი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით




წყარო: Intracen Trademap

ქართლი და სხვა რეგიონები. 2019 წელს მატყლის იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, კერძოდ, 60,000 აშშ დოლარის ღირებულების დაახლოებით 55 ტონა მატყლი იქნა იმპორტირებული.

ცხრილი 5

მატყლის წარმოება რეგიონების მიხედვით (000 ტონა)					
	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო	2.3	2.0	2.0	1.9	1.8
კახეთი	1.4	1.1	1.1	1.1	1.0
მცხეთა-მთიანეთი	0.1	0.1	0.1	0.1	0.1
სამცხე-ჯავახეთი	0.2	0.2	0.1	0.1	0.1
ქვემო ქართლი	0.5	0.5	0.5	0.4	0.4
სხვა რეგიონები	0.1	0.1	0.1	0.1	0.1


დიაგრამა 11. მათყლის იმპორტი საქართველოში



წყარო: Intracen Trademap


რაც შეეხება ქართული მათყლის ექსპორტს, უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პირველი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, რომელიც ექსპორტზე გავიდა ევროკავშირის ბაზარზე, თუმცა ექსპორტი ძირითადად სხვა ქვეყნებში ხორციელდება, როგორცაა ინდოეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და ა. შ.

დიაგრამა 12. მათყლის ექსპორტი 2015-2019 წლებში



წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 13. მათყლის ექსპორტი კარტონირი ქვეყნების მიხედვით 2019 წელს



წყარო: Intracen Trademap

კანონმდებლობა



რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებმა / რეალიზატორებმა და დისტრიბუტორებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის № 152 დადგენილება რძისა და რძის ნაწარმის შესახებ
2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის №195 დადგენილება „ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზისა და გამოკვლევის მეთოდების შესახებ“
3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება „საკვებ-დანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N301 - ტექნიკური რეგლამენტის - მოხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ
5. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №22 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“
6. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილება „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარ-

მოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
8. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილება სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №10 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „საცალო ვაჭრობაში დაუფასოებელი პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ჰიგიენური პირობებისა და წესების“ დამტკიცების შესახებ
10. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ
11. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება „ბიზნეს-ოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან / და გადაამუშავებასთან დაკავშირებულ საწარმოებს მიიღონ სახელმწიფო აღიარება
12. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი¹

¹ „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი მნიშვნელოვანი რეგულაციაა რძის პროდუქტების მრეწველობისთვის, რადგან ქარხნები წყლის მოხმარებლები არიან. რძის პროდუქტების მრეწველობა ხელს უწყობს სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩადინებას ზედაპირულ წყლებში - ძირითადად მდინარე მტკვარში.

მომავალში მრეწველობის ყველა დარგისთვის, მათ შორის რძის პროდუქტების მრეწველობისთვისაც სავალდებულო იქნება სამრეწველო ემისიების შესახებ კანონის მოთხოვნების (ის ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და მხოლოდ კანონპროექტია ხელმისაწვდომი) შესრულება, ასოცირების ხელშეკრულების - დანართი XXVI - გარემო - 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2010/75 / EU სამრეწველო ემისიების შესახებ თანახმად. აღნიშნული დირექტივის დებულებები შეეხება შემდეგს:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოს / პირების დანიშვნა; (განრიგი: დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში)

- დანადგარების იდენტიფიცირება, რომლებიც ნებართვას საჭიროებს (განრიგი: დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში. დირექტივის პირველი დანართის 6 (3), 6 (4) და 6 (6) პუნქტებით განსაზღვრული ინსტალაციისთვის მოხდება განსხვავებულ ბარიერებზე შეთანხმდება ასოცირების საბჭოსთან. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ ასოცირების საბჭოს წინადადება წარედგინება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში)

- ინტეგრირებული სანებართვო სისტემის დანერგვა (მუხლები 4-6, მე -12, მე -17 (2), 21 - ე და 24 - ე და IV დანართი); (განრიგი: დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში; დირექტივის I დანართის 6 (3), 6 (4) და 6 (6) პუნქტებით განსაზღვრული ინსტალაციების ვადა ასოცირების საბჭოს გადაწყვეტილებიდან მაქსიმუმ ექვსი წელი)

- შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის შექმნა (მუხლები 8, 14 (1) (დ) და 23 (1)) (განრიგი: დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის განმავლობაში)

BAT-ის განხორციელება BREF-ების BAT დასკვნების გათვალისწინებით (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტიდან მე-6 პუნქტამდე და მე-15 მუხლის მე-2-დან 4-მდე)

(განრიგი: დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 წლის განმავლობაში).

წყარო: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:2014A0830(02))

ახალმა გარემოსდაცვითმა რეგულაციებმა შეიძლება გამზარდოს პროდუქტის ღირებულება, მაგრამ გარემოს მაღალი ხარისხი ასევე აისახება თავად პროდუქტის ხარისხზე. მწვანე მარკირება მოხმარებლებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.



ცხვრის და
ცხვრის
კროდუქტების
კოტენსიული
ევროკავშირის
ბაზარზე

სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ, რადგან მსგავსი პროდუქცია განიხილება, როგორც მაღალი რისკის მქონე პროდუქტები. ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტების იმპორტი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, საზოგადოების ჯანდაცვის, ცხოველთა ჯანმრთელობის და სხვა სათანადო რეგულაციებთან.

შენიშვნა:

გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ჯერ არ აქვს ევროკავშირისგან ცოცხალი საქონლის, ხორცპროდუქტებისა და რძის პროდუქტების ექსპორტის ნებართვა. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომლის ექსპორტიც ამჟამად ნებადართულია საქართველოდან, არის შემდეგი: თაფლი, შავი ზღვის თევზი (ქაფშია) და მატყლი.

ზოგადი წესები, რომლის დაცვაც აუცილებელია ევროკავშირში პირუტყვისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის იმპორტის დროს:

- ექსპორტიორ მესამე ქვეყანას უნდა ჰქონდეს მიღებული ევროკავშირის კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ გაცემული უფლებამოსილება. ზოგიერთ შემთხვევაში, პირუტყვის ექსპორტის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს არა მთელ ქვეყანას, არამედ გარკვეულ ნაწილს ან ტერიტორიას, მაგრამ მხოლოდ კომისიის მიერ აუდიტის ჩატარების შემდგომ, რომლის მიზანია შეამოწმოს შესაბამისობაშია თუ არა ყველა მოთხოვნა. დეტალური ინფორმაცია ევროკავშირის

არანეგრი ქვეყნების პოზიტიურ სიაში დამატების პრინციპების შესახებ მოცემულია შემდეგ ბმულზე: [Commission Regulation \(EU\) No 206/2010](#)

- გადამუშავებული კვების პროდუქტების შემთხვევაში, გადამამუშავებელი კომპანიები დამტკიცებული უნდა იყოს მესამე ქვეყნის იურიდიული ორგანოების მიერ. საქართველოში მსგავსი დანესებულებაა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში წარმოებული ყველა ცხოველური თუ არაცხოველური პროდუქტების ვეტერინარულ და უვნებლობის შემოწმებებსა და სერტიფიცირებაზე
- ჰიგიენური სერტიფიკატი უნდა გასცეს შესაბამისმა ოფიციალურმა ორგანიზაციამ და ხელი მოაწეროს ექსპორტიორ ქვეყანაში მოღვაწე ვეტერინარებმა
- თითოეული ტვირთი უნდა შემოწმდეს სასაზღვრო შემოწმების პუნქტში (BIP), დანიშნულების ქვეყანაში
- მესამე ქვეყანას უნდა ჰქონდეს დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმა - **residue plan**

ცხოველების დაავადების შემთხვევის გამოვლენისას, ევროკავშირის ხელისუფლებამ შეიძლება შეაჩეროს იმპორტი მესამე ქვეყნებიდან, ცხოველებისა და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. იმპორტის შეჩერება შეიძლება შეეხოს ექსპორტიორი ქვეყნის მთელ ტერიტორიას ან ზოგიერთ რეგიონს (მის ნაწილებს).

- ცოცხალი ცხოველებისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტისთვის ევროკავშირისგან ავტორიზაციის მიღების პროცედურები შემდეგია:
 1. პასუხისმგებელმა ორგანომ (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო) ოფიციალური განცხადება უნდა წარადგინოს ჯანდაცვის და საკვების უვნებლობის გენერალურ დირექტორატში (DG SANTE).

2. ამის შემდეგ, ჯანდაცვის და საკვების უვნებლობის გენერალური დირექტორატი უგზავნის ოფიციალურ კითხვარს პასუხისმგებელ დანესებულებას, რათა დარწმუნდეს, რომ ვეტერინარული და უვნებლობის მომსახურება მესამე ქვეყანაში შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს. კითხვარი შევსებული და წარმოდგენილი უნდა იყოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ.
3. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა წარმოადგინოს ნარჩენების მონიტორინგის გეგმა.
4. უფლებამოსილების მინიჭებამდე, ევროკავშირის კომისიამ შეიძლება ჩაატაროს აუდიტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პოტენციური რისკი მაღალია.
5. დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, ჯანდაცვის და საკვების უვნებლობის გენერალური დირექტორატი ამზადებს განცხადებას მესამე ქვეყნის პოზიტიურ სიაში დამატებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, მესამე ქვეყანამ ჯანდაცვის და საკვების უვნებლობის გენერალურ დირექტორატში უნდა წარადგინოს უფლებამოსილი კომპანიების სია.
6. საბოლოო გადაწყვეტილების დამტკიცება და ხელმოწერა უნდა მოხდეს ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მიერ.

საკვების შეფუთვა

საკვების შეფუთვის სახეობები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირში პროდუქციის ექსპორტის დროს. ჩვენს შემთხვევაში, შეფუთვის მოთხოვნები შეეხება ხორცისა და რძის პროდუქტებს. საკვებთან შეხებაში არსებული ნედლეული - შესაფუთი მასალების დასამზადებლად გამოყენებული ნედლეული უნდა იყოს უსაფრთხო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ნედლეულის საკვებთან შერევა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ

განსაზღვრულ დონეს. სურსათის შესაფუთი მასალები უსაფრთხო უნდა იყოს გარემოსთვისაც.

რეკომენდაცია:

გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ სურსათის შეფუთვა უნდა შეესაბამებოდეს იმპორტიორი ქვეყნის სურსათის შეფუთვის მოთხოვნებს და იმპორტიორმა შეიძლება მოითხოვოს შესაბამისობის სერტიფიკატი. სერტიფიკატი გაიცემა შესაფუთი მასალების მწარმოებლის მიერ (ადგილობრივი ან იმპორტირებული).

უფრო ვრცლად:

- ✓ ევროპარლამენტის და საბჭოს 94/62/EC დირექტივით განსაზღვრული შეფუთვისა და შეფუთვის ნარჩენებთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები (OJ L-365 31/12/1994) (CELEX 31994L0062);
- ✓ საბჭოს 75/106/EEC (OJ L-42 15/02/1975) (CELEX 31975L0106) და 80/232/EEC (OJ L-51 25/02/1980) (CELEX 31980L0232) დირექტივით განსაზღვრული სპეციალური მოთხოვნები შეფუთვის ზომასთან დაკავშირებით;
- ✓ ევროპარლამენტის და საბჭოს 2007/45/EC დირექტივით განსაზღვრული სპეციალური წესები პროდუქტების ნომინალური ოდენობის შესახებ (OJ L-247 21/09/2007) (CELEX 32007L0045)
- ✓ სპეციალური წესები სურსათთან შემხებლობაში მყოფი ნედლეულების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (OJ L-338 13/11/2004) რეგულაციში (EC) No 1935/2004 (CELEX 32004R1935).

სურსათის ეტიკეტირება

ევროკავშირის ეტიკეტირების შესახებ კანონი ადგენს წესებს, რომლებიც მომხმარებელს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის საკვების შესახებ. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, პროდუქტის მწარმოებელი პასუხისმგებელია ადგილობრივი საკვები პროდუქტის ეტიკეტის შინაარსზე, იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში, პასუხისმგებელი მხარე იმპორტიორია. საკვები პროდუქტის შესახებ ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს, უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და მომხმარებელი არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც თან უნდა ახლდეს საკვებ პროდუქტებს (ხორცი და რძე):

- საკვების დასახელება
- მწარმოებლის, შემფუთველის, ან დისტრიბუტორის, ან იმპორტიორის, ან ექსპორტიორის ან გამყიდველის სახელწოდება და მისამართი

- შემადგენლობის ჩამონათვალი (თუ შეიცავს რამე დამატებით ინგრედიენტს)
- ნეტო მოცულობა
- ვარგისიანობის მინიმალური ვადა
- შენახვის პირობები
- წარმოშობის ქვეყანა
- გამოყენების ინსტრუქცია
- პარტიის ნომერი
- კვებითი ღირებულება

ეტიკეტის შინაარსი უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყნის მშობლიურ ენაზე. ნებადართულია ალტერნატიული (დამატებითი) ენის გამოყენებაც, მაგრამ რეკომენდებულია წინასწარი კონსულტაცია იმპორტიორთან.

კანონმდებლობა



მესამე ქვეყანა, რომელიც ცხოველების და ცხოველური პროდუქტების პოტენციური ექსპორტიორია ევროკავშირში, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. ყველაზე მნიშვნელოვანია ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები:

- ვეტერინარული მომსახურება და მომსახურების გამწვანების დაწესებულებების კომპეტენცია ექსპორტიორ ქვეყანაში (საქართველო)
- კანონმდებლობა ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შესახებ ექსპორტიორ ქვეყანაში (საქართველო)
- ცხოველთა დაავადებების პრევენციის წესები და სამოქმედო გეგმა ექსპორტიორ ქვეყანაში (საქართველო)
- პირუტყვის ჯანმრთელობის კონტროლის სისტემები
- ევროკავშირის კომისიებსა და ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან (OIE) ცხოველთა დაავადებების შესახებ ანგარიშგების სიხშირე და რეგულაცია
- ჯანმრთელობისა და სურსათის უსაფრთხოების კონტროლის სისტემები მესამე ქვეყნებში ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და დამუშავებისთვის
- პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობა მესამე ქვეყანაში

უფრო ვრცლად:

- ✓ COUNCIL DIRECTIVE 2004/68/EC - ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესები კონკრეტული ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველების სახელმწიფოში იმპორტის და ტრანზიტის შემთხვევაში
- ✓ Council Directive 2002/99/EC - ქმნის სამართლებრივ საფუძველს ცხოველთა ჯანმრთელობის ყველა წესისთვის, რომელიც არეგულირებს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას და მიწოდებას მოხმარებისთვის
- ✓ Regulation (EC) No 178/2002, Regulation (EC) No 852/2004, Regulation (EC) No 853/2004, Regulation (EC) No 854/2004 და Regulation (EC) 882/2004 ქმნის სამართლებრივ საფუძველს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წესებისთვის, ვაჭრობის და ევროკავშირში წარდგენის მიზნით
- ✓ 2007/777/EC - ცხოველების და საზოგადოების ჯანმრთელობის პირობები და მესამე ქვეყნიდან იმპორტისთვის გარკვეული ხორცპროდუქტებისა და ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი დამუშავებული კუჭების, ნაწლავების, შარდის ბუშტის სერტიფიკატის ნიმუშები
- ✓ Commission Regulation (EU) No 605/2010 - ცხოველების და საზოგადოების ჯანდაცვა და ვეტერინარული სერტიფიცირების პირობები ევროკავშირში ნედლი რძის, რძის პროდუქტების, ხსენის და ხსენზე დამზადებული პროდუქტების შესატანად ადამიანის საკვებად გამოყენებისთვის



სტანდარტები და სერტიფიცირება

ვეტერინარული სერტიფიკატი საჭიროა ცხოველის და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისთვის, მათი ევროკავშირის საზღვარზე შესატანად. სერტიფიკატი უნდა გაიცეს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური დანესებულების მიერ. ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოში გაიცემა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და ადასტურებს, საექსპორტო ტვირთის უვნებლობას.

იმპორტიორმა კომპანიამ ასევე უნდა მოამზადოს საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი (CVED) ევროკავშირის საზღვრებზე განბაჟების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ საბაჟო სამსახურში წინასწარ გაიგზავნოს პროდუქციის ჩამოსვლის ცნობა (შეტყობინება). ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში ეს შესაძლებელია გაკეთდეს ხელით ან ელექტრონულად, ჩამოსვლამდე ერთი სამუშაო დღით ადრე, TRACES, (ევროკავშირის ინტეგრირებული ვეტერინარული მიკვლევადობის სისტემა) სისტემით (TRACES, the EU's integrated veterinary traceability system). ცოცხალი ცხოველები არ უნდა იყვნენ დაავადებულები ბრუცელოზით, ჰილესით და ცოფით, უნდა იყვნენ ჯანმრთელები და ცხოველების მდგომარეობა საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქონლის დანიშნულების ადგილის შესახებ და ახდენდეს ცხოველის იდენტიფიკაციას. მნიშვნელოვანია, რომ სერტიფიკატს ოფიციალური ვეტერინარი აწერდეს ხელს.

ცოცხალი ცხოველები ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სურსათის უვნებლობისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს, ვერ მოხვდება ევროკავშირში.

უფრო ვრცლად:

- ✓ Commission Regulation (EC) No 136/2004 - მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქციის ვეტერინარული შემოწმების პროცედურები სახელმწიფო სასაზღვრო საგუშაგოებზე

წარმოშობის წესები

წარმოშობის წესები მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყანასთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმებით სარგებლობისთვის. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას (DCFTA), რომელიც ასევე შეიცავს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას. ცოცხალი ცხოველების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების შემთხვევაში საჭიროა, რომ საექსპორტო პროდუქტი მთლიანად წარმოშობილი იყოს ექსპორტიორ ქვეყანაში (საქართველოში). იგივე წესი ვრცელდება ცხვრის მატყლზე იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტზე გადის ძირითადი პროდუქტის სახით. გთხოვთ, იხილოთ ცოცხალი ცხვრისა და ცხვრის პროდუქტების საბაჟო/სასაქონლო კოდები:

ცხრილი 6

კოდი	აღწერა
0204	ცხვრის ან თხის ხორცი, ნედლი, გაციებული ან გაყინული
010410	ცოცხალი ცხვარი
04	რძის პროდუქტები; ფრინველის კვერცხები; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის საკვებად ვარგისი პროდუქტები
5101	დაუმუშავებელი მატყლი

წარმოშობის სერტიფიკატი

წარმოშობის სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს პროდუქტის წარმომავლო-

ბას. წარმოშობის სერტიფიკატის რამდენიმე ტიპი არსებობს და დამოკიდებულია დანიშნულების ქვეყანასა და ამ ქვეყანასთან არსებულ სავაჭრო რეჟიმზე. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ქართველი ექსპორტიორები იყენებენ **EUR.1** ტიპის სერტიფიკატს, რაც ადასტურებს, რომ საქსპორტო ტვირთი წარმოებულია საქართველოში. როდესაც პროდუქტი არ აკმაყოფილებს წარმოშობის მოთხოვნებს, ექსპორტიორებს შეუძლიათ გამოიყენონ არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც ასევე ანიჭებს პროდუქტს ეროვნებას, მაგრამ არ აძლევს სატარიფო შეღავათებს. საქართველოში წარმოშობის სერტიფიკატს გასცემენ სსიპ შემოსავლების სამსახური და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

სატრანსპორტო დოკუმენტაცია

სატრანსპორტო დოკუმენტაცია განსხვავდება ტრანსპორტის ტიპის მიხედვით, რომლითაც ხდება ტვირთის გადატანა. სატრანსპორტო დოკუმენტაცია გაიცემა სატრანსპორტო კომპანიის მიერ. იხილეთ დოკუმენტაციის ტიპები:

- CMR: საგზაო ტრანსპორტისთვის
- AWB: ავიაზღვანადები
- CIM: სარკინიგზო ზღვანადები
- Conosament: საზღვაო ტრანსპორტი
- ATA Carnet: დროებითი იმპორტისთვის, ან ნიმუშისთვის, ა.შ.
- TIR Carnet: როდესაც სატრანსპორტო საშუალება რამდენიმე საზღვარს კვეთს

ჰიგიენური სერტიფიკატი

ჰიგიენური სერტიფიკატი ადასტურებს პროდუქტის უვნებლობას და მას გასცემს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

კომერციული ინვოისი და ხელშეკრულება

კომერციული ინვოისი ან ხელშეკრულება საჭიროა საქართველოს საზღვარზე განბაჟებისთვის. ინვოისი ასევე საჭიროა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურისთვის.

შეფუთვის სია

შეფუთვის სია საჭიროა საქართველოს საზღვარზე განბაჟების პროცედურისთვის, თუ კომერციული ინვოისი არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ტვირთის შესახებ. შეფუთვის სია მოითხოვება იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურის მიერაც.

დამატებითი დოკუმენტაცია

დამატებითი დოკუმენტაცია დამოკიდებულია კონკრეტული იმპორტიორის მოთხოვნაზე, ან საერთაშორისო ცვლილებებით გამოწვეულ აუცილებლობაზე.

ბაზრის თანდენსიები



ევროპელი მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო ხშირად ეძებს ჯანსაღ და ნატურალურ პროდუქტებს. მომხმარებელთა მოტივაცია მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენისას არის ის, რომ პრემიუმ ხარისხის საკვები ასოცირდება ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და უკეთეს გემოსთან. ევროკავშირში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა მაღალია და მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ მაღალი ხარისხისთვის, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, ბენელუქსის ქვეყნები, სკანდინავიური ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი (Brexit-ის მიუხედავად, დიდი ბრიტანეთი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ევროპის ნაწილი, ევროპაში ქართული საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრისას).

EUROSTAT-ის ანგარიშის თანახმად, „სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა და სტატისტიკის 2019 წლის გამოცემა“ (Agriculture, forestry and Fishery and statistics-2019 edition) - 2017 წელს ცხვრისა და თხების რაოდენობა 100 მილიონს შეადგენდა. გაერთიანებულ სამეფოზე, ესპანეთსა და რუმინეთზე მოდიოდა ევროკავშირის ცხვრის დიდი ნაწილი (დაახლოებით 58%), საბერძნეთსა და ესპანეთზე კი თხების რაოდენობის უმეტესობა. 2019 წელს ცხვრის პოპულაცია უმნიშვნელოდ შემცირდა. მიახლოებით 83,7 მილიონი ცხვარი იყო 2019 წელს, რაც დაახლოებით 1,7 მილიონით ნაკლებია 2017 წლის მონაცემზე და პრაქტიკულად იგივე რაოდენობაა, რაც 2018 წელს.


ცხვრის პოპულაცია ევროკავშირში 2019 წელს. (მილიონი ცხვარი)

ცხრილი 7

ევროკავშირი 28	83.7
დიდი ბრიტანეთი	22.7
ესპანეთი	15.4
რუმინეთი	10.3
საბერძნეთი	8.4
საფრანგეთი	7.1
იტალია	7
სხვა	12.6

წყარო: Eurostat

დიაგრამა 14. ცხვრის პოპულაცია ევროკავშირში 2015-2019 წლებში




წყარო: Eurostat

ჩვენი ინფორმაციით, ცხოველთა დაავადებებმა, ისევე როგორც სტრუქტურულმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა დააჩქარა ცხვრისა და თხის პოპულაციის შემცირება ბოლო წლების განმავლობაში. ევროკავშირში ცხვრის პოპულაციის შემცირებით, ცოცხალი ცხვრისა და ცხვრის ხორცის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 193 მლნ. და 219 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვრის იმპორტი განხორციელდა 2017 და 2018 წლებში და ასევე დაახლოებით 2,7 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ცხვრის ხორცი იქნა იმპორტირებული 2018 წელს.

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესახებ მოკლევადიანი ხედვის მიხედვით (**short term outlook**), რომელიც ევროკომისიამ 2020 წელს მოამზადა, ევროკავშირში მოსალოდნელია ყველა სახეობის ხორცის წარმოების შემცირება: ღორის ხორცი (+ 0,5%), საქონლის ხორცი -1,7%, ფრინველი -2,0%, ცხვარი და თხა -1,5%. ხორცის წლიური მოხმარება ასევე შეიძლება შემცირდეს 65,4 კგ-მდე ერთ სულ მოსახლეზე 2020 წელს (-2,5%), რაც გამომწვეულია მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნის შემცირებით იზოლაციის პერიოდში და შემცირებული შიდა ხელმისაწვდომობით, რომელიც არ კომპენსირდება იმპორტით.


2020 წელს ცხვრისა და თხის ხორცის წარმოების მოსალოდნელი შემცირება (-1,5%) ითვალისწინებს მოთხოვნის შემცირებას საკვების მომსახურებასა და საშინაო მოხმარებაზე სააღდგომო და რამადანის დღესასწაულების დროს და მიწოდების დეფიციტს ლოგისტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რაც კოვიდ-19-ის გამო შექმნილმა კრიზისმა გამოიწვია. აღნიშნული ასევე გამოიხატება პირუტყვის სულადობის შემცირებით, ადგილობრივი მოთხოვნის სტაგნაციით, რეალიზაციის მოცულობის შემცირების რისკით და მშრალი ამინდის პოტენციური ზეგავლენით.

დიაგრამა 15. ბათყლის იმპორტი ევროკავშირში (ათასი აშშ დოლარი).




წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 16. რძის პროდუქტების იმპორტი ევროკავშირში (ათასი აშშ დოლარი).




წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 17. ცხვრის ან თხის ხორცის იმპორტი ევროკავშირში (ათასი აშშ დოლარი).



წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 18. სოცხალი ცხვრის იმპორტი ევროკავშირში (ათასი აშშ დოლარი).



წყარო: Intracen Trademap



ცხვრისა
და ცხვრის
კროდუქტების
კოტენსიული
სპარსეთის
ყურის
თანამშრომ-
ლობის საბჭოს
ქვეყნებში

საკვების უვნებლობის მოთხოვნები

ყველა სახის იმპორტირებული სურსათი GCC-ის ქვეყნებში (სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო: ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი, ყატარი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები) უნდა შესაბამებოდეს GCC-ს სურსათის უვნებლობის ზოგად მოთხოვნებს და წესებს. იმპორტირებული საკვები პროდუქტები, მათ შორის ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები კონკრეტული ქვეყნის საბაჟოზე ექვემდებარება კონტროლს. ნებისმიერი სახის გადამუშავებული საკვები, ხორცისა და რძის პროდუქტების ჩათვლით, უნდა გადამუშავდეს საერთაშორისო დონეზე დამტკიცებული სურსათის უვნებლობის სისტემების შესაბამისად. მსგავსი მოთხოვნები მოქმედებს GCC-ის ქვეყნებშიც, გარდა ზოგიერთი დამატებითი მოთხოვნებისა, მაგალითად, ჰალალის სერტიფიკატი.

ცხოველები, მათ შორის ცხვარი უნდა დაიკლას სასაკლაოზე, რომელსაც ამტკიცებს და აკონტროლებს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო (სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოში). ასევე, სასაკლაოები უნდა დამტკიცდეს GCC -ის მთავრობების მიერ. ხორცი და / ან ხორცპროდუქტები უნდა დამუშავდეს სურსათის უვნებლობის აღიარებული სისტემით, რომელიც დაფუძნებულია HACCP-ის (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) პრინციპებზე. ხორცი და ხორცპროდუქტები დამზადებული უნდა იყოს დაავადების არ მქონე ცოცხალი ცხოველებისგან.

რძე და სხვა რძის პროდუქტები უნდა იყოს მიღებული ჯანმრთელი ცხოველებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან ოფიციალურ ვეტერინარულ შემოწმებას ექსპორტიორ ქვეყანაში. რძის პროდუქტები უნდა დამუშავდეს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემების შესაბამისად, როგორცაა HACCP ან მსგავსი.

კარგი ვეტერინარული პრაქტიკის გამოყენება უნდა მოხდეს ცოცხალ ცხოველებზე, მაგალითად, ვეტერინარული მედიკამენტების, ქიმიკატების გამოყენება და ა.შ. რძისა და ხორცის პროდუქტებში ნებისმიერი მსგავსი ქიმიკატების ნარჩენები უნდა შესაბამებოდეს GCC-ის მოთხოვნებს.

საკვები პროდუქტების ეტიკეტირება

ქვემოთ წარმოდგენილია სავალდებულო ინფორმაცია, რომელ საკვების ეტიკეტზე უნდა იყოს დატანილი:

- საკვების დასახელება
- მწარმოებლის, შემფუთავის, ან დისტრიბუტორის, ან იმპორტიორის, ან ექსპორტიორის ან გამყიდველის სახელწოდება და მისამართი
- შემადგენლობის ჩამონათვალი (თუ შეიცავს რამე დამატებით ინგრედიენტს)
- წმინდა მოცულობა
- ვარგისიანობის მინიმალური ვადა
- შენახვის პირობები
- წარმოშობის ქვეყანა
- გამოყენების ინსტრუქცია
- პარტიის ნომერი
- კვებითი ღირებულება

ეტიკეტირების ენა უნდა იყოს არაბული. იმპორტიორთან წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელია ალტერნატიული ენის გამოყენება (დამატებით).

კანონმდებლობა



ცხოველური წარმოშობის იმპორტირებული და / ან ადგილობრივი წარმოების პროდუქტები რეგულირდება GSO-ს (GCC-ის სტანდარტიზაციის ორგანიზაცია) ტექნიკური რეგლამენტებით და სტანდარტებით. ტექნიკური დოკუმენტები არეგულირებენ შემდეგ საკითხებს: სურსათის უვნებლობის მოთხოვნები, როგორცაა ტენიანობა, ქიმიური შემცველობა, დაავადებები, შემადგენლობა, მიკრობიოლოგიური შემადგენლობა. ასევე, რეგულაციები ვრცელდება პროდუქციის ნიმუშის აღებაზე, გადამუშავებაზე, ლაბორატორიულ ანალიზსა და წარმოების კარგ პრაქტიკაზე. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი რეგულაციები GCC-ს ქვეყნებში შემდეგია:

- **GSO 2055-1:** ჰალალის საკვები - ნაწილი (1): ზოგადი მოთხოვნები
- **GSO 2055-2:** ჰალალის საკვები - ნაწილი (2): სახელმძღვანელო მითითებები ჰალალის საკვებზე სერტიფიკატის გამცემი ორგანოებისთვის და მათი აკრედიტაციის მოთხოვნები
- **GSO 993:** ცხოველების დაკვლის მოთხოვნები ისლამური კანონის შესაბამისად
- **GSO 2231:** საკვებთან შემხებლობაში მყოფი ნედლეულის ზოგადი მოთხოვნები
- **GSO CAC/RCP 58:** ხორცის ჰიგიენური წესების კოდექსი
- **GSO 815:** ნედლი ხორცის მომზადების, ტრანსპორტირების, გადამუშავების და შენახვის ჰიგიენური წესების კოდექსი
- **GSO 2206:** მზა ხორცი - მარილის ხსნარით და თერმულად დამუშავებული ხორცი
- **GSO 1924:** გამომშრალი ხორცი
- **GSO 1102:** რძის მუყაოს კონტეინერები
- **GSO 1103:** რძის მუყაოს კონტეინერების ტესტირების მეთოდები
- **GSO 2214:** რძისა და რძის პროდუქტების ჰიგიენური წესების კოდექსი
- **GSO 1874:** რძის ცხიმის პროდუქტები
- **GSO 174:** ნედლი რძე

- **GSO 984:** პასტერიზებული რძე
- **GSO 569:** რძის და რძის პროდუქტების სინჯების აღების მეთოდები

რეკომენდაცია:

ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტირების შესახებ ყველა შესაბამისი რეგულაცია შეგიძლიათ იხილოთ GSO-ს სტანდარტების ვებგვერდზე უმეტეს შემთხვევაში, კონკრეტულ სტანდარტებსა და რეგულაციებზე წვდომა ფასიანია.

იმპორტის ტარიფები

1. ცხვრის ან თხის ხორცი, ნედლი, გაციებული ან გაყინული (0204): 0-5 %, დამოკიდებულია კონკრეტული პროდუქტის სახეობაზე
2. ცოცხალი ცხვარი (010410): 0%
3. რძის პროდუქტები (04): 0-5 %, დამოკიდებულია კონკრეტული პროდუქტის სახეობაზე
4. მატყლი (5101): 5%



სტანდარტები და სერტიფიცირება

GCC ქვეყნებში პროდუქციის იმპორტზე ნებაართვის მისაღებად, ექსპორტიორმა უნდა წარმოადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და სერტიფიკატი საექსპორტო ბაზარზე შესვლამდე. მნიშვნელოვანია, რომ იმპორტიორმა უნდა მოიპოვოს იმპორტის ნებაართვა ტვირთის ჩამოსვლამდე მინიმუმ 1 თვით ადრე.

GCC-ის ქვეყნებში ცოცხალი ცხვრის იმპორტისთვის დაწესებული ზოგადი მოთხოვნებით, ექსპორტამდე ცხოველებმა უნდა გაიარონ ვეტერინარული შემოწმება და ასევე უნდა შეეძლოთ მგზავრობა. ცხოველები ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ ჰიგიენურ სერტიფიკატში მითითებულ ყველა სხვა კრიტერიუმს. ცოცხალი ცხვრის თითოეული გადაზიდვა უნდა შეესაბამებოდეს GCC-ის ვეტერინარულ საკარანტინო კანონს, მათ შორის ვეტერინარულ საკარანტინო მოთხოვნებს.

წარმოშობის წესები

წარმოშობის წესები მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყანასთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების გამოსაყენებლად. საქართველოსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის არ არსებობს შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმება და ქართველ ექსპორტიორებს არ აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ სატარიფო უპირატესობები სპარსეთის ყურის რეგიონში პროდუქციის ექსპორტის დროს.

გთხოვთ იხილოთ ცოცხალი ცხვრისა და ცხვრის პროდუქტების HS (ჰარმონიზებული სისტემის) კოდები:

ცხრილი 8

კოდი	აღწერა
0204	ცხვრის ან თხის ხორცი, ნედლი, გაციებული ან გაყინული

010410	ცოცხალი ცხვარი
04	რძის პროდუქტები; ფრინველის კვერცხები; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის საკვებად ვარგისი პროდუქტები
5101	დაუმუშავებელი მატყლი

წარმოშობის სერტიფიკატი

წარმოშობის სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს პროდუქტის წარმომავლობას. წარმოშობის სერტიფიკატის რამდენიმე ტიპი არსებობს და დამოკიდებულია დანიშნულების ქვეყანასა და ამ ქვეყანასთან არსებულ სავაჭრო რეჟიმზე. სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებისათვის, ქართველმა ექსპორტიორებმა უნდა გამოიყენონ წარმოშობის არაპრეფერენციული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქტი წარმოშობილია საქართველოში, თუმცა სერტიფიკატს ვერ იყენებენ სატარიფო შეღავათების მისაღებად.

სატრანსპორტო დოკუმენტაცია

სატრანსპორტო დოკუმენტაცია განსხვავდება ტრანსპორტის ტიპის მიხედვით, რომლითაც ხდება ტვირთის გადატანა. სატრანსპორტო დოკუმენტაცია გაიცემა სატრანსპორტო კომპანიის მიერ. იხილეთ დოკუმენტაციის ტიპები:

- CMR: საგზაო ტრანსპორტისთვის
- AWB: ავიაზღვანადები
- CIM: სარკინიგზო ზღვანადები
- Conosament: საზღვაო ტრანსპორტი

- ATA Carnet: დროებითი იმპორტისთვის, ან ნიმუშისთვის, ა.შ.
- TIR Carnet: როდესაც სატრანსპორტო საშუალება რამდენიმე საზღვარს კვეთს

ჰიგიენური სერტიფიკატი

ჰიგიენური სერტიფიკატი ადასტურებს პროდუქტის უვნებლობას და მას გასცემს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო.

კომერციული ინვოისი და ხელშეკრულება

კომერციული ინვოისი ან ხელშეკრულება საჭიროა საქართველოს საზღვარზე განბაჟებისთვის. ინვოისი ასევე საჭიროა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურისთვის.

შეფუთვის სია

შეფუთვის სია საჭიროა საქართველოს საზღვარზე განბაჟების პროცედურისთვის, თუ კომერციული ინვოისი არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ტვირთის შესახებ. შეფუთვის სია მოითხოვება იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურის მიერაც.

ჰალალის სერტიფიკატი

ისლამური კანონის შესაბამისად, სერტიფიკატი გაიცემა ხორცის, ფრინველისა და მათგან

ნაწარმოებ პროდუქტებზე, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის გადამამუშავებულ საკვებზე, რძის პროდუქტების ჩათვლით. სერტიფიკატი გაიცემა წარმოშობის ქვეყანაში ადგილობრივ მოლათა ან ოფიციალურად აკრედიტირებული საერთაშორისო კომპანიების მიერ. სერტიფიკატი ადასტურებს, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არის ჰალალის საკვები და დამზადებულია ისლამური შარიათის კანონების შესაბამისად. ჰალალის დაკვლის სერტიფიკატი ადასტურებს, რომ ცხოველი დაკლულია ისლამური შარიათის წესების შესაბამისად.

შენიშვნა:

გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ იმპორტიორები არ იღებენ ინდივიდუალური მასერტიფიცირებლების (ადგილობრივი მოლა) მიერ გაცემულ ჰალალის სერტიფიკატს. რეკომენდებულია იმპორტიორთან წინასწარი კონსულტაცია.

დამატებითი დოკუმენტაცია

დამატებითი დოკუმენტაცია დამოკიდებულია კონკრეტული იმპორტიორის მოთხოვნაზე, ან საერთაშორისო ცვლილებებით გამოწვეულ აუცილებლობაზე.

ბაზრის თანდენსიები




სურსათის უვნებლობა და სერტიფიკატები სპარსეთის ყურის ქვეყნებში ცხოველური წარმოშობის პროდუქციით ვაჭრობის წამყვან ასპექტებად იქცა. მდგრადი მიწოდება უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება რეგიონში, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, განსაკუთრებით ცხვრის ხორცის მოხმარების მოცულობის გამო.

მანძილი საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიმზიდველი უპირატესობაა ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის გასაზრდელად სპარსეთის ყურის რეგიონში. საქართველო შეიძლება გახდეს უზარმაზარი ბაზრის პირდაპირი მიმწოდებელი, სადაც ცხვრის ხორცის მოხმარების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, GCC-ის ქვეყნებში ცხვრის პოპულაცია დაახლოებით 13 მილიონს შეადგენდა 2018 წელს. საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებზე მოდის GCC-ის ცხვრის დიდი ნაწილი (87%). პოპულაცია მცირედით შემცირდა 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით (-600,000 ერთეული ცხვარი). რაც შეეხება ცოცხალი ცხვრის იმპორტს GCC-ის ქვეყნებში, 800 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვარი იქნა იმპორტირებული 2018 წელს. იმპორტის თვალსაზრისით, ცოცხალი ცხვრის წამყვანი იმპორტიორი GCC-ის ქვეყნებში იყო საუდის არაბეთი 518 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვრის იმპორტით 2018 წელს. 2018 წელს საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრის ძირითადი ექსპორტიორი იყო სუდანი, რუმინეთი და სომალი, მაგრამ სტატისტიკური მონაცემებით, რუმინეთმა აქტიურად დაიწყო საუდის არაბეთში ექსპორტის გაზრდა და 52 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვრის ექსპორტი უკვე განახორციელა 2019 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთში რუმინული ცხვრის ექსპორტთან დაკავშირებით შეთანხმება და ავტორიზაციის პროცესი ცოტა ხნის წინ დასრულდა.

დიაგრამა 19. ცხვრის პოპულაცია GCC-ის ქვეყნებში 2015-2018 წლებში




ცხრილი 9

ცხვრის პოპულაცია ქვეყნების მიხედვით 2018 წ.	
ქვეყანა	ერთეული
საუდის არაბეთი	9,408,766
არაბთა გაერთიანებული საამიროები	2,147,665
ქუვეითი	684,231
ომანი	605,288
ყატარი	272,485
ბაჰრეინი	38,650

ცხრილი 10


ცხვრის ხორცის წარმოება ქვეყნების მიხედვით 2018 წ.	
ქვეყანა	ტონა
საუდის არაბეთი	88,863
ქუვეითი	41,882
ომანი	30,754
ბაჰრეინი	16,178
არაბთა გაერთიანებული საამიროები	9,845
ყატარი	8,966

დიაგრამა 20. ცხვრის ხორცის წარმოება GCC-ის ქვეყნებში 2015-2018 წლებში




GCC-ის ქვეყნებში ცხვრის ხორცის წარმოების თვალსაზრისით, საუდის არაბეთი ცხვრის ხორცის მწარმოებელი ყველაზე დიდი ქვეყანაა, რომელსაც მოსდევს ქუვეითი და ომანი. საერთო ჯამში, GCC- ის ქვეყნების მიერ, 2018 წელს 196,488 ტონა ცხვრის ხორცი იქნა წარმოებული.

დიაგრამა 21. ცხვრის ან თხის ხორცის იმპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 22. ცოცხალი ცხვრის იმპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 23. რძის პროდუქტების იმპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: Intracen Trademap

დიაგრამა 24. მატყლის იმპორტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: Intracen Trademap

სასარგებლო ბმულები

- EU Trade Helpdesk (ევროკავშირის ვაჭრობის დამხმარე სამსახური)
- Intracen Trademap (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი)
- OIE: ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
- DG Sante: ჯანდაცვის და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატი
- FAO: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები
- GSO: სპარსეთის ყურის ქვეყნების სტანდარტების ბაზა
- The Dairy Organization (რძის პროდუქტების ორგანიზაცია)
- Matsne: Legislative Herald of Georgia საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
- MEPA: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- MOESD: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- RS: საქართველოს შემოსავლების სამსახური
- EDA: ექსპორტის განვითარების ასოციაცია
- GFA: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
- Shepherds Association of Georgia (საქართველოს მეცხვართა ასოციაცია)
- Eurostat (ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური)